საქართველოს მთავრობის

დადგენილება №401

2020 წლის 2 ივლისი

ქ. თბილისი

„პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/06/2020, 470230000.10.003.022082) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პირბადის ტარების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, აბიტურიენტს – ერთიანი ეროვნული გამოცდების, მაგისტრანტობის კანდიდატს – საერთო სამაგისტრო გამოცდების, სტუდენტს – სტუდენტთა საგრანტო კონკურსის, აპლიკანტს – საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადგენის მიზნით ჩასატარებელი ტესტირების მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში საგამოცდო ტესტზე მუშაობის პროცესში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგამოცდო სივრცის გაგრილება ხდება კონდიციონერის გამოყენებით).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**